

რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
--	-----	-----	--

51.	<input type="text" value="-5 -5"/>	<input type="text" value="30 : (-2)"/>	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	------------------------------------	--	-----------------

52.	<input type="text" value="2 1/3"/>	<input type="text" value="8/3"/>	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	------------------------------------	----------------------------------	-----------------

53.	<input type="text" value="x"/>	$x^2 > y^2$ <input type="text" value="y"/>	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	--------------------------------	---	-----------------

54.	<input type="text" value="24 : 9,6"/>	<input type="text" value="2,4 : 0,96"/>	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	---------------------------------------	---	-----------------

55.	ტოლფერდა სამკუთხედის ფერდის სიგრძე მეტია ფუძის სიგრძეზე. <input type="text" value="ამ სამკუთხედის ფუძესთან მდებარე კუთხის სიდიდე"/>	<input type="text" value="60°"/>	(ა) (ბ) (გ) (დ)
-----	--	----------------------------------	-----------------

56.	ცნობილია, რომ $m < n$		
	$m + n$	0	(ა) (ბ) (გ) (დ)

57.	$a = 1 - b$		
	$a^2 - b^2$	$a - b$	(ა) (ბ) (გ) (დ)

58.	a პირამიდის სულ 8 წვერო აქვს, b პირამიდის სულ 12 წიბო აქვს.		
	a პირამიდის წახნაგების რაოდენობა	b პირამიდის წახნაგების რაოდენობა	(ა) (ბ) (გ) (დ)

ამოცანები

59. ქვემოთ მოცემულ გამოსახულებათაგან რომლის მნიშვნელობაა უმცირესი?

- (ა) $6,5 - 1 + 4,5 - 1$
- (ბ) $(6,5 - 1) \cdot (4,5 - 1)$
- (გ) $(6,5 - 1) \cdot (4,5 \cdot 1)$
- (დ) $6,5 \cdot 1 \cdot 4,5 \cdot 1$
- (ე) $6,5 \cdot 1 + 4,5 \cdot 1$

60. ოქრომჭედელს 17 პატარა ბეჭედი ჰქონდა. მან 3 ბეჭდისგან გადაღობით ერთი დიდი ბეჭედი დაამზადა. ოქრომჭედელი კიდევ 2-ჯერ მოიქცა ასე.


სულ რამდენი ბეჭედი ექნება ამის შემდეგ ოქრომჭედელს?

- (ა) 8
- (ბ) 9
- (გ) 10
- (დ) 11
- (ე) 12

61. ლარნახევრის მერამდენედი ნაწილია 30 თეთრი?

- (ა) $\frac{1}{6}$
- (ბ) $\frac{1}{5}$
- (გ) $\frac{1}{4}$
- (დ) $\frac{1}{3}$
- (ე) $\frac{1}{2}$

62. კვადრატისგან, რომლის სიგრძეა 8 სმ, ამოკვეთილია მართკუთხედი, რომლის სიგრძეა 3 სმ, სიგანე კი – 2 სმ (იხ. ნახაზი). რამდენი კვადრატული სანტიმეტრია კვადრატის დარჩენილი ნაწილის ფართობი?



- (ა) 58
- (ბ) 56
- (გ) 49
- (დ) 22
- (ე) 9

მონაცემთა ანალიზი

ცხრილში მოცემულია, რამდენი სტუდენტი სწავლობდა 2000-2005 წლებში ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის ჰუმანიტარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტების სპეციალობებზე.

	ჰუმანიტარული ფაკულტეტი			საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი			
	ფილოლოგია	ისტორია	უსიქოლოგია	ფიზიკა	ქიმია	ბიოლოგია	გეოლოგია
2000	160	120	90	80	30	45	40
2001	180	100	85	75	25	40	35
2002	190	110	80	85	20	35	25
2003	180	105	90	70	25	30	20
2004	195	90	100	70	30	45	35
2005	200	100	90	60	35	40	20

ცხრილის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 4 შეკითხვას:

63. რამდენი სტუდენტი სწავლობდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2001 წელს?

- (ა) 170
- (ბ) 175
- (გ) 180
- (დ) 185
- (ე) 190

64. რომელ წლებში იყო იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფილოლოგიის სპეციალობაზე სწავლობდნენ, უფრო მეტი, ვიდრე მათი საერთო რაოდენობა, ვინც იმავე ფაკულტეტის ისტორიის ან ფსიქოლოგიის სპეციალობებზე სწავლობდა?

- (ა) 2000 და 2001 წლებში
- (ბ) 2001 და 2002 წლებში
- (გ) 2002 და 2003 წლებში
- (დ) 2003 და 2004 წლებში
- (ე) 2004 და 2005 წლებში

65. რამდენჯერ ნაკლები იყო იმ სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც 2005 წელს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობაზე სწავლობდნენ, მათ რაოდენობაზე, ვინც იმავე წელს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე სწავლობდა?

- (ა) 3,5-ჯერ
- (ბ) 3-ჯერ
- (გ) 2,5-ჯერ
- (დ) 2-ჯერ
- (ე) 1,5-ჯერ

66. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა მართებული ცხრილის მიხედვით?

- (ა) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტთა ნახევარზე მეტი ქიმიის ან ბიოლოგიის სპეციალობებზე სწავლობს
- (ბ) სტუდენტთა რაოდენობა ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის სპეციალობაზე 2000-2002 წლებში ყოველწლიურად იკლებდა, ხოლო 2003-2005 წლებში – იმატებდა
- (გ) ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფსიქოლოგიის სპეციალობაზე ყოველ წელს უფრო ნაკლები სტუდენტი სწავლობდა, ვიდრე იმავე ფაკულტეტის ნებისმიერ სხვა სპეციალობაზე
- (დ) სტუდენტთა რაოდენობა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის სპეციალობაზე ყოველწლიურად იკლებდა, ხოლო ფიზიკის სპეციალობაზე – იმატებდა
- (ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სპეციალობაზე ყოველ წელს სტუდენტთა უფრო მეტი რაოდენობა სწავლობდა, ვიდრე იმავე ფაკულტეტის ქიმიის ან გეოლოგიის სპეციალობებზე (ერთად)

ამოცანები


67. გიორგის უნდა შეესრულებინა მოქმედება 19,278 – 8,65. მან კალკულატორზე 6-იანის ნაცვლად შეცდომით აკრიფა 4-იანი და ისე შეასრულა გამოკლება. სწორი პასუხის მისაღებად გიორგის მიერ მიღებულ შედეგს უნდა:

- (ა) გამოაკლდეს 0,2
- (ბ) დაემატოს 0,2
- (გ) გამოაკლდეს 0,4
- (დ) გამოაკლდეს 2
- (ე) დაემატოს 2

68. თუ $\frac{1}{9} \cdot (y+5) = \frac{1}{9} \cdot (6y-5)$, მაშინ $3y =$

- (ა) 3
- (ბ) 6
- (გ) 9
- (დ) 12
- (ე) 15

69. წრეწირის რადიუსის სიგრძეა 15 სმ. AOC სამკუთხედის O წვერო ამ წრეწირის ცენტრს ემთხვევა, ხოლო A და C წვეროები წრეწირზე მდებარეობს. O ცენტრიდან AC გვერდზე დაშვებული მართობის სიგრძეა 12 სმ. რამდენი სანტიმეტრია AC გვერდის სიგრძე?



- (ა) 12
- (ბ) 15
- (გ) 18
- (დ) 20
- (ე) 27

70. ერთ-ერთი წლის 25 ნომბერი პარასკევი იყო. რა რიცხვი ყოფილა ამ წლის ნომბრის პირველი ხუთშაბათი?

- (ა) 3
- (ბ) 4
- (გ) 5
- (დ) 6
- (ე) 7

71. გიორგიმ გამოთვალა ორი ნატურალური რიცხვის კვადრატების სხვაობა. ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება იყოს გიორგის მიერ მიღებული რიცხვი?

- (ა) 8
- (ბ) 7
- (გ) 5
- (დ) 3
- (ე) 2

72. A ქალაქიდან B ქალაქისაკენ ორი ტურისტი გაემგზავრა, ერთი – ავტომობილით, მეორე კი იმავე გზით – მიკროავტობუსით. ავტომობილი თანაბარი სიჩქარით, შეუფერხებლად მოძრაობდა და B ქალაქში 4 საათში ჩავიდა. მიკროავტობუსიც, ასევე, თანაბარი სიჩქარით, შეუფერხებლად მოძრაობდა და B ქალაქში 5 საათში ჩავიდა. ავტომობილის სიჩქარე 90 კმ/სთ იყო. რისი ტოლი იყო მიკროავტობუსის სიჩქარე?


- (ა) 70 კმ/სთ
- (ბ) 72 კმ/სთ
- (გ) 75 კმ/სთ
- (დ) 80 კმ/სთ
- (ე) 84 კმ/სთ

73. მართკუთხედის ერთი დიაგონალი ტოლგვერდა სამკუთხედის გვერდზე მდებარეობს (იხ. ნახაზი).

ტოლგვერდა სამკუთხედისა და მართკუთხედის გვერდებით შედგენილი ბლაგვი კუთხე β -ს ტოლია.

რამდენი გრადუსია β კუთხის სიდიდე?

- (ა) 120°
- (ბ) 130°
- (გ) 140°
- (დ) 150°
- (ე) 160°




74. ტვირთის გადასატანად ორი სატვირთო მანქანა დაიქირავეს. პირველი მანქანით გადაიტანეს 7 ტონა ტვირთი, მეორით – 5 ტონა. ტვირთის მეპატრონემ ამისათვის მძღოლებს 480 ლარი გადაუხადა. მძღოლებმა ეს თანხა მათ მიერ გადატანილი ტვირთის წონის პროპორციულად გაინაწილეს. რამდენი ლარი შეხვდებოდა ამ თანხიდან პირველი მანქანის მძღოლს?

- (ა) 320
- (ბ) 300
- (გ) 280
- (დ) 270
- (ე) 250

75. რგოლებში ისეთი რიცხვებია ჩაწერილი, რომ პატარა რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამი n -ით ნაკლებია დიდ რგოლში ჩაწერილი რიცხვების ჯამზე (იხ. ნახაზი). რისი ტოლია x ?

- (ა) 2
- (ბ) 4
- (გ) 5
- (დ) 6
- (ე) 8



რაოდენობრივი შედარება

შეადარეთ ერთმანეთს A და B სვეტების უჯრებში მოცემული რაოდენობები.

თუ A სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია B სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ა);

თუ B სვეტის უჯრაში მოცემული რაოდენობა მეტია A სვეტის შესაბამის უჯრაში მოცემულ რაოდენობაზე, აირჩიეთ (ბ);

თუ უჯრებში მოცემული რაოდენობები ტოლია, აირჩიეთ (გ);

თუ მოცემული ინფორმაცია საკმარისი არაა იმის დასადგენად, რომელი რაოდენობაა მეტი, აირჩიეთ (დ).

	A	B	
--	---	---	--

76.	<p>B ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობა ნაკლებია C ქვეყნის მოქალაქეთა რაოდენობაზე. სვეტოვან დიაგრამებზე მითითებულია, B და C ქვეყნების მოქალაქეთა რამდენმა პროცენტმა იცის ფრანგული, გერმანული ან ინგლისური ენები.</p> <div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="text-align: center;"> <p>B ქვეყანა</p> <table border="1" style="margin: 5px auto;"> <caption>Country B Data</caption> <tr><th>Language</th><th>Percentage</th></tr> <tr><td>ინგლისური</td><td>25%</td></tr> <tr><td>ფრანგული</td><td>15%</td></tr> <tr><td>გერმანული</td><td>20%</td></tr> </table> </div> <div style="text-align: center;"> <p>C ქვეყანა</p> <table border="1" style="margin: 5px auto;"> <caption>Country C Data</caption> <tr><th>Language</th><th>Percentage</th></tr> <tr><td>ინგლისური</td><td>30%</td></tr> <tr><td>ფრანგული</td><td>10%</td></tr> <tr><td>გერმანული</td><td>20%</td></tr> </table> </div> </div> <div style="display: flex; justify-content: space-around; margin-top: 10px;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 45%;"> <p>გერმანული ენის მცოდნე მოქალაქეთა რაოდენობა B ქვეყანაში</p> </div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 45%;"> <p>გერმანული ენის მცოდნე მოქალაქეთა რაოდენობა C ქვეყანაში</p> </div> </div>	Language	Percentage	ინგლისური	25%	ფრანგული	15%	გერმანული	20%	Language	Percentage	ინგლისური	30%	ფრანგული	10%	გერმანული	20%	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
Language	Percentage																	
ინგლისური	25%																	
ფრანგული	15%																	
გერმანული	20%																	
Language	Percentage																	
ინგლისური	30%																	
ფრანგული	10%																	
გერმანული	20%																	

77.	<p>უჯრაში სულ 24 სათამაშოა. სათამაშოების $\frac{2}{3}$ ნაწილზე ნაკლები ბურთულებია, ხოლო ბურთულების $\frac{3}{4}$ ნაწილზე ნაკლები – ლურჯი ფერისაა.</p> <div style="display: flex; justify-content: space-around; margin-top: 10px;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 45%;"> <p>ამ უჯრაში ლურჯი ფერის ბურთულების რაოდენობა</p> </div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 45%; text-align: center;"> <p>12</p> </div> </div>	<p>(ა) (ბ) (გ) (დ)</p>
------------	--	------------------------

78.	<p>დადებითწვერებიანი მიმდევრობის ყოველი წევრი მის მომდევნოზე 2-ჯერ ნაკლებია. x ამ მიმდევრობის მე-4 წევრია, y კი – მე-8 წევრი.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">y</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">$14x$</div> </div>	

79.	<p>გამუქებული ოთხკუთხედისა და სამკუთხედის ყველა წვერო ტოლუჯრედებიანი ბადის კვანძებს ემთხვევა.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="display: flex; align-items: center;"> </div>	
	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">ABCD ოთხკუთხედის ფართობი</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">EFL სამკუთხედის ფართობი</div> </div>	

80.	<p>მევენახემ 200 კილოგრამი ყურძნით რამდენიმე დიდი და რამდენიმე პატარა ყუთი გაავსო. თითოეულ დიდ ყუთში 12 კგ ყურძენი ჩაეტია, თითოეულ პატარაში – 7 კგ.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">ყურძნით სავსე ყუთების რაოდენობა</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 100px; text-align: center;">26</div> </div>	

81.	<p>x და y რიცხვებისათვის $x * y$ აღნიშნავს ამ რიცხვების ჯამის ნახევარს: $x * y = \frac{x + y}{2}$. ვთქვათ, $x < 0$.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">$(x * 0) * x$</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">$(x * x) * 0$</div> </div>	


82.	<p>წრეწირზე მდებარე C და D წერტილების შემაერთებელი მონაკვეთის სიგრძეა b.</p>	(ა) (ბ) (გ) (დ)
	<div style="display: flex; justify-content: space-around;"> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 150px; text-align: center;">ამ წრეწირით შემოსაზღვრული წრის ფართობი</div> <div style="border: 1px solid black; padding: 5px; width: 100px; text-align: center;">b^2</div> </div>	

ამოცანები

83. ნამცხვრის 10 ნაჭრიდან რამდენიმე სამად დაჭრეს. რამდენი ნაჭერი დაუჭრიათ სამად, თუ სულ ნამცხვრის 22 ნაჭერი მიიღეს?

- (ა) 3
- (ბ) 4
- (გ) 5
- (დ) 6
- (ე) 7

84. მართკუთხა საკოორდინატო სისტემაზე მოცემული წრეწირის ცენტრი კოორდინატთა სათავეს ემთხვევა. E და F წერტილები ამ წრეწირზე მდებარეობს. F წერტილის ორივე კოორდინატი და E წერტილის პირველი კოორდინატი მითითებულია ნახაზზე.



E წერტილის მეორე კოორდინატი $m =$

- (ა) -3
- (ბ) -1
- (გ) 1
- (დ) 4
- (ე) 6

85. მგზავრმა პირველ დღეს გაიარა გასავლელი გზის ორი მეხუთედი ნაწილი, მეორე დღეს – იმდენივე, რაც პირველ დღეს. ამის შემდეგ მას გასავლელი დარჩა კიდევ 6 კილომეტრი. სულ რამდენი კილომეტრი ჰქონია გასავლელი მგზავრს?

- (ა) 10
- (ბ) 20
- (გ) 30
- (დ) 40
- (ე) 50


86. ფერმერმა საქონლისთვის გარკვეული რაოდენობის საკვები მოიმარაგა. იგი ყოველდღიურად ერთი და იმავე რაოდენობის საკვებს ხარჯავდა. საკვების ხარჯვის დაწყებიდან 25 დღის შემდეგ დარჩა 500 კგ საკვები, 30 დღის შემდეგ კი – 400 კგ. სულ რამდენი დღის საკვები მოუმარაგებია ფერმის პატრონს?

- (ა) 36
- (ბ) 40
- (გ) 48
- (დ) 50
- (ე) 60

მონაცემთა ანალიზი

ფირმის მოგება და ზარალი მის შემოსავლებსა და ხარჯებზეა დამოკიდებული. თუ ფირმის შემოსავლები მეტია ხარჯებზე, მაშინ ფირმის მოგება შემოსავლებისა და ხარჯების სხვაობის ტოლია. თუკი შემოსავლები ნაკლებია ხარჯებზე, მაშინ ფირმა ზარალობს და ზარალი ხარჯებისა და შემოსავლების სხვაობის ტოლია.

დიაგრამაზე მოცემულია, რამდენ ათას ლარს შეადგენს ტურისტული ფირმის შემოსავლები და ხარჯები თვეების მიხედვით მთელი წლის განმავლობაში.



დიაგრამის მიხედვით უპასუხეთ შემდეგ 4 შეკითხვას:

87. რომელ თვეში იყო ფირმის შემოსავლები 30 ათასი ლარის ტოლი?

- (ა) აპრილში
- (ბ) მაისში
- (გ) ივნისში
- (დ) ივლისში
- (ე) აგვისტოში

88. მოიგო თუ იზარალა ფირმამ აგვისტოში და რამდენი?

- (ა) იზარალა 10 ათასი ლარი
- (ბ) იზარალა 15 ათასი ლარი
- (გ) არც მოუგია, არც უზარალა
- (დ) მოიგო 5 ათასი ლარი
- (ე) მოიგო 10 ათასი ლარი

89. რამდენი ათასი ლარი იზარალა სულ ფირმამ წლის ბოლო მეოთხედში (ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეების განმავლობაში)?

- (ა) 5 ათასი ლარი
- (ბ) 10 ათასი ლარი
- (გ) 15 ათასი ლარი
- (დ) 20 ათასი ლარი
- (ე) 25 ათასი ლარი

90. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი დასკვნაა მართებული?

- (ა) ფირმის ყოველთვიური შემოსავლები ყოველთვის აღემატებოდა ყოველთვიურ ხარჯებს
- (ბ) ფირმის ყოველთვიური შემოსავლები წლის განმავლობაში თანდათან იზრდებოდა, ხარჯები კი – თანდათან მცირდებოდა
- (გ) ფირმის შემოსავლები გაზაფხულის თვეებში უფრო მეტი იყო, ვიდრე – ზაფხულის თვეებში
- (დ) ზაფხულის თვეებში ფირმის შემოსავლები ყოველთვის აღემატებოდა ხარჯებს, შემოდგომის თვეებში კი – არა
- (ე) ზამთრის თვეებში ფირმის შემოსავლები ყოველთვის აღემატებოდა ხარჯებს, გაზაფხულის თვეებში კი – არა

ამოცანები

91. რიცხვის 9-ზე გაყოფისას მიღებული ნაშთი 6-ის ტოლია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს ნაშთი იმავე რიცხვის 27-ზე გაყოფისას?

- (ა) 3
- (ბ) 18
- (გ) 21
- (დ) 24
- (ე) 26

92. დათო დღეგამოშვებით ჯირითობს იპოდრომზე, მერაბი კი – ყოველ სამ დღეში ერთხელ. ჯირითის ყოველ დღეს დათო მეჯინიბეს უხდის 5 ლარს, ხოლო მერაბი – 6 ლარს. მინიმუმ რამდენი ლარი შეიძლება მიიღოს მეჯინიბემ მათგან ზედიზედ 7 დღის განმავლობაში?

- (ა) 24
- (ბ) 25
- (გ) 27
- (დ) 28
- (ე) 29

93. მართკუთხედი დაყოფილია ოთხ მართკუთხედად, რომელთაგან ერთის პერიმეტრი 20 სმ-ია, მეორის – 38 სმ, მესამისა კი – 30 სმ (იხ. ნახაზი). რამდენი სანტიმეტრია მეოთხე მართკუთხედის პერიმეტრი?

- (ა) 12
- (ბ) 15
- (გ) 16
- (დ) 18
- (ე) 19

20 სმ	38 სმ
	30 სმ

94. კლასში, რომელშიც გურამი სწავლობს, გურამზე დაბალია 15 მოსწავლე. როცა შეარჩიეს ამ კლასის 10 ყველაზე მაღალი მოსწავლე, მათ შორის მოხვდა გურამიც. შერჩეულთაგან გურამზე დაბალი აღმოჩნდა 3 მოსწავლე. სულ რამდენი მოსწავლე ყოფილა გურამის კლასში?

- (ა) 28
- (ბ) 25
- (გ) 22
- (დ) 20
- (ე) 18


95. m და n ისეთი ნატურალური რიცხვებია, რომ $m - 2n$ კენტია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი შეიძლება იყოს ლუწი?

- (ა) $m + 2n$
- (ბ) $2m + 3n$
- (გ) $m - 4n$
- (დ) $2m - 2n + 1$
- (ე) $4m + 2n - 1$

96. ნიკას ერთნაირი ხის კუბები ჰქონდა, რამდენიმე მათგანი მან შუაზე გახერხა. ამ ნახევრებისა და კუბებისაგან ნიკამ მთლიანი სვეტი ააგო (იხ. ნახაზი), ისე, რომ არაფერი დარჩენია.

სულ რამდენი კუბი ჰქონია ნიკას თავდაპირველად?

- (ა) 16
- (ბ) 15
- (გ) 14
- (დ) 12
- (ე) 10



97. მაღაზიაში 7 ავტოკალამი და 1 ფანქარი ერთად იმდენივე ღირს, რამდენიც – 4 ავტოკალამი და 9 ფანქარი ერთად. ნინომ ამ მაღაზიაში 24 ფანქარი იყიდა. რამდენი ავტოკალამის ყიდვა შეეძლო ნინოს იმავე თანხით ამ მაღაზიაში?

- (ა) 7
- (ბ) 8
- (გ) 9
- (დ) 10
- (ე) 11

98. გუნდში 5 მოჭადრაკეა. მათი საშუალო ასაკია 24 წელი. ოთხი მათგანის ასაკი 20 წელზე მეტია და 22 წელზე ნაკლები. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომლის ტოლი შეიძლება იყოს მეხუთე მოჭადრაკის ასაკი?

- (ა) 25 წელი
- (ბ) 27 წელი
- (გ) 29 წელი
- (დ) 31 წელი
- (ე) 33 წელი

99. გადიდება თუ შემცირდება მართკუთხედის ფართობი და რამდენი პროცენტით, თუ მართკუთხედის სიგრძეს გავაძიებთ 50%-ით, ხოლო სიგანეს შევამცირებთ 40%-ით?

- (ა) შემცირდება 5%-ით
- (ბ) შემცირდება 10%-ით
- (გ) გადიდება 5%-ით
- (დ) გადიდება 10%-ით
- (ე) გადიდება 15%-ით

100. წრეწირზე მონიშნულია A, B, C, D და E წერტილები (იხ. ნახაზი). სულ რამდენია ისეთი სამკუთხედი, რომელთა წვეროები ამ წერტილებშია?

- (ა) 6
- (ბ) 8
- (გ) 10
- (დ) 12
- (ე) 14

